

ელექტროენერჯის ბოლო ალტერნატივის მიწოდების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგია

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მიზანი

1. ელექტროენერჯის ბოლო ალტერნატივის მიწოდების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის (შემდგომში – მეთოდოლოგია) მიზანია ელექტროენერჯის ბოლო ალტერნატივის მიწოდების ტარიფების გაანგარიშების წესისა და პრინციპების განსაზღვრა.
2. მეთოდოლოგია ვრცელდება საქართველოს მთავრობის მიერ ავტორიზებულ ელექტროენერჯის ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელზე „ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პირობების შესაბამისად.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. მეთოდოლოგიაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) **საბოლოო მომხმარებელი** – საბოლოო საყოფაცხოვრებო ან არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელი, რომელსაც ემსახურება ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი;
- ბ) **რეგულირებული საწარმო** – ელექტროენერჯის ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი, რომელსაც მეთოდოლოგიის საფუძველზე უდგინდება ელექტროენერჯის ბოლო ალტერნატივის მიწოდების ტარიფები;
- გ) **კონკურენტული ფასის მარჟა** – ბოლო ალტერნატივის მიწოდების ფასის მარჟა, რომელიც განისაზღვრება და დგინდება საქართველოს მთავრობის მიერ ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლის ავტორიზაციის შესახებ სამართლებრივი აქტით;
- დ) **ბაზარი პლუს მარჟა** – რეგულირებული საწარმოს მიერ ბოლო ალტერნატივის მიწოდებისათვის გამოყენებული ფასის მარჟა, რომელიც განისაზღვრება კომისიის მიერ.
- ე) **საბაზისო ფასი** – ელექტროენერჯის ბოლო ალტერნატივის მიწოდების ტარიფების გასაანგარიშებლად განსაზღვრული საბაზისო ფასი;

ვ) (ამოღებულია - 24.06.21, №15).

2. მეთოდოლოგიაში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც განსაზღვრულია „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონით და კომისიის მიერ დამტკიცებული ელექტროენერჯის გადაცემის, განაწილებისა და საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერატორის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიით.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 24 ივნისის დადგენილება №15 - ვებგვერდი, 25.06.2021 წ.

მუხლი 3. ძირითადი პრინციპები

1. მეთოდოლოგია უზრუნველყოფს, რომ მის საფუძველზე დადგენილი ელექტროენერჯის ბოლო ალტერნატივის მიწოდების ტარიფები იყოს:

ა) დასაბუთებული, გონივრული, გადამოწმებადი, არადისკრიმინაციული, გამჭვირვალე და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული, ასევე, იცავდეს მომხმარებელს მონოპოლიური ფასებისგან;

ბ) უფრო მაღალი, ვიდრე მომხმარებელთა იმავე კატეგორიისთვის ჩვეულებრივ პირობებში მიწოდებული ელექტროენერჯის საშუალო საბაზრო ფასი.

2. ელექტროენერჯის ბოლო ალტერნატივის მიწოდების ტარიფის გაანგარიშებაში გამოყენებული ბაზარი პლუს მარჟა და კონკურენტული მარჟა მოიცავს ბოლო ალტერნატივის მიწოდების საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯსა და გონივრულ მოგებას.

3. კომისიის მიერ დადგენილი ელექტროენერჯის ბოლო ალტერნატივის მიწოდების ტარიფები იანგარიშება დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გარეშე.

მუხლი 4. სატარიფო რეგულირების პერიოდი

1. რეგულირებული საწარმოსთვის სატარიფო რეგულირების პერიოდი (n) განისაზღვრება 1 კალენდარული წლით.

2. იმ შემთხვევაში, თუ რეგულირებულ საწარმოს მეთოდოლოგიის ფარგლებში პირველად უდგინდება ტარიფი, კომისია უფლებამოსილია, შესაბამისი ტარიფის მოქმედების ვადა განსაზღვროს მიმდინარე რეგულირების პერიოდის ბოლომდე ან მომდევნო სატარიფო რეგულირების პერიოდის ჩათვლით.

მუხლი 5. ელექტროენერჯის ბოლო ალტერნატივის მიწოდების ტარიფი

საბოლოო მომხმარებლებისთვის ელექტროენერჯის ბოლო ალტერნატივის მიწოდების ტარიფი იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$T_{E\text{ SolR } EU(t+1,m)} = P_{reference\ EU} * (1 + P_{market\ plus}) + P_{competitive}$$

სადაც:

$T_{E\text{ SolR } EU}$	- ელექტროენერჯის ბოლო ალტერნატივის მიწოდების ტარიფი საბოლოო მომხმარებლებისთვის, რომელსაც ადგენს კომისია შესაბამისი სატარიფო წლისთვის (თეთრი/კვტ.სთ);
$P_{reference\ EU(t-1,m)}$	- საბაზისო ფასი, რომელიც საბოლოო მომხმარებლებისთვის ბოლო ალტერნატივის მიწოდების განსახორციელებლად უთანაბრდება გასული 12 თვის განმავლობაში ელექტროენერჯის დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებულ თვის საშუალო ფასთან შორის უმაღლეს ფასს, რომელსაც განსაზღვრავს კომისია და აქვეყნებს კომისიის ვებგვერდზე (თეთრი/კვტ.სთ);
$P_{market\ plus}$	- ბაზარი პლუს მარჟა, რომელიც საბოლოო მომხმარებლებისთვის ბოლო ალტერნატივის მიწოდების განსახორციელებლად კომისიის მიერ განისაზღვრება 5%-ის ოდენობით (%);
$P_{competitive}$	- კონკურენტული ფასის მარჟა, რომელიც დამტკიცა საქართველოს მთავრობამ ბოლო ალტერნატივის მიწოდების ავტორიზაციის შესახებ სამართლებრივი აქტით (თეთრი/კვტ.სთ).

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 24 ივნისის დადგენილება №15 - ვებგვერდი, 25.06.2021 წ.

მუხლი 6. ტარიფის დასადგენად წარსადგენი დოკუმენტაცია

1. ტარიფის დადგენის მიზნით რეგულირებული საწარმო ვალდებულია ტარიფის გაანგარიშების წელს, მეთოდოლოგიის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში კომისიას წარუდგინოს სატარიფო განაცხადი.
2. სატარიფო განაცხადის ფორმებსა და თანდართული დოკუმენტაციის ჩამონათვალს ამტკიცებს კომისია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. სატარიფო განაცხადთან ერთად რეგულირებულმა საწარმომ ასევე უნდა წარუდგინოს კომისიას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შედგენილი და აუდირებული ფინანსური ანგარიშგება.
4. იმ შემთხვევაში, თუ რეგულირებულ საწარმოს არ გააჩნია საბაზისო წლის მონაცემები, რეგულირებული საწარმო უფლებამოსილია, სატარიფო განაცხადით წარადგინოს საპროგნოზო მონაცემები.
5. კომისია უფლებამოსილია, რეგულირებულ საწარმოს მოსთხოვოს სხვა დამატებითი ინფორმაციის ან/და სხვადასხვა სახის დასკვნის წარმოდგენა, რომელსაც იგი საჭიროდ მიიჩნევს.
6. სატარიფო განაცხადისა და მასზე თანდართული მასალების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება სატარიფო განაცხადის წარმომდგენს.

მუხლი 7. ტარიფის დადგენის ვადები და პროცედურები

1. ტარიფის დადგენის მიზნით რეგულირებული საწარმო ვალდებულია კომისიას წარუდგინოს სატარიფო განაცხადი არაუგვიანეს საქართველოს მთავრობის მიერ ელექტროენერჯის ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლის ავტორიზაციის შესახებ სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, ხოლო ყოველი შემდგომი სატარიფო რეგულირების მიზნით არაუგვიანეს ტარიფის გაანგარიშების წლის 4 ივლისისა. თუ აღნიშნული თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, სატარიფო განაცხადი წარდგენილი უნდა იქნეს მომდევნო სამუშაო დღეს.
2. კომისია სატარიფო განაცხადის დამტკიცებულ ფორმასთან შესაბამისობას და მის სისრულეს განიხილავს სატარიფო განაცხადის წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.
3. თუ წარმოდგენილი სატარიფო განაცხადი არ შეესაბამება კომისიის მიერ დამტკიცებულ ფორმებს ან წარმოდგენილია არასრულყოფილად, კომისია რეგულირებულ საწარმოს ხარვეზის აღმოსაფხვრელად წერილობით განუსაზღვრავს ვადას არაუმეტეს 30 სამუშაო დღისა. ეს ვადა რეგულირებადი საწარმოს მოთხოვნით შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ ერთხელ, არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადით.
4. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში რეგულირებული საწარმო კომისიაში არ წარმოადგენს მოთხოვნილ ინფორმაციას, კომისიის გადაწყვეტილებით სატარიფო განაცხადი რჩება განუხილველი.

5. კომისია უფლებამოსილია მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება და თავისი ინიციატივით გადახედოს რეგულირებული საწარმოს ტარიფებს. ამ შემთხვევაში რეგულირებული საწარმოს მიერ საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარდგენის პირობები განისაზღვრება კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილებით.
6. სრულყოფილად წარმოდგენილი სატარიფო განაცხადის მიღების ან ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში კომისიის გადაწყვეტილებით იწყება საჯარო ადმინისტრაციული წარმოება და შესაბამისი ცნობა ქვეყნდება კომისიის ვებგვერდზე.
7. სატარიფო განაცხადის განხილვა კომისიაში მიმდინარეობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.
8. რეგულირებული საწარმოსთვის შესაბამისი ტარიფების დადგენამდე, კომისია უფლებამოსილია, მოაწყოს შეხვედრები ან/და საჯარო სხდომები დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნით.

მუხლი 8. გარდამავალი დებულებები

ელექტროენერჯის დღით ადრე და დღიური ბაზრების სრულყოფილი ფუნქციონირების დაწყებისა და გასული პერიოდის 12 თვის უმაღლესი საშუალო თვიური ფასის არარსებობის შემთხვევაში, მეთოდოლოგიის მე-5 მუხლით გათვალისწინებული საბაზისო ფასის ნაცვლად გამოიყენება გასული 12 თვის განმავლობაში დაფიქსირებულ უმაღლეს ფასს სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ მიერ გასაყიდ საბალანსო ელექტროენერჯიაზე.